



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1

11 იანვარი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია ატუ“-ს და მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 238-ე მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაკმაყოფილდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია ატუ“-ს გენერალური დირექტორის მოთხოვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და „ასოციაცია ატუ“-ს შორის გაფორმებული 2007 წლის 27 დეკემბერის №1 და №2 აღნაგობის ხელშეკრულებების მოქმედება (ვადაზე ადრე) შეწყდეს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მესაკუთრის თანხმობით. (პირველი ითვალისწინებს: სოფ. ნატანებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების: სარეგისტრაციო ზონა-ოზურგეთის რაიონი 26, სექტორი 01, კვარტალი №36, ნაკვეთი №213, ფართობი 219800 კვ.მ., მეორე ითვალისწინებს: სარეგისტრაციო ზონა-ოზურგეთის რაიონი 26, სექტორი სოფ. ნატანები 01, კვარტალი №36, ნაკვეთი №214, ფართობი 68200 კვ.მ.)

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი